# გზა მედლებისაკენ

**დაიწყო** საკავშირო დათვალიერება-კონკურსი, რომლის დევიზია „მშდ-ს ნიშნიდან — ოლიმპიურ მედლამდე". დათვალიერება-კონკურსი, რომელიც ეძღვნება მოსკოვის ოლიმპიადას, ტარდება საკავშირო ალკკ XVII ყრილობის დადგენილების შესაბამისად.

კონკურსის ძირითადი მიზანია ფიზკულტურასა და სპორტში მილიონობით საბჭოთა ადამიანის ჩაბმა, მშდ-ს კომპლექსის დანერგვისთვის მუშაობის ხარისხის ამაღლება, სპორტული ტალანტების — მომავალი ოლიმპიური რეზერვის გამოვლენა და აღზრდა.

კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მთავრდება 1979 წლის 1 მაისს, მეორე — 1980 წლის მაისში. დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს, მშენებლობების, ტრანსპორტ ს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებათა და სასწავლებელთა ფიზკულტურულ კოლექტივებს, სპორტულ კლუბებს.

საკავშირო დათვალიერება-კონკურსის ორივე ეტაპის შედეგების მიხედვით 200 საუკეთესო პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, სპორტკლუბი და ფიზკულტურის კოლექტივი დაჯილდოვდება „მშდ-ს საპატიო ნიშნით" (ოლიმპიური სიმბოლიკით).

გამარჯვებულთა გამოსავლენად პირველ რიგში მხედველობაში მიიღება რამდენიმე კაცი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა იქნა მიზიდული ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში, რამდენი მშდ-ს, მათ შორის „ოქროს" ნიშნოსანი მომზადდა, რამდენი იყო გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებზე მშდ-ს კომპლექსის მრავალჭიდში მონაწილე. მხედველობაში მიიღება მშდ-ს მრავალჭიდის საზოგადოებრივი კომისიისა და საინსპექციო ჯგუფის აქტიური მუშაობა, მატერიალურ-სპორტული ბაზის შექმნა, საზოგადოებრივი მსაჯების მონაწილეობა საკავშირო კონკურსში „ოლიმპიური არბიტრი", აგრეთვე, ის, თუ როგორ ეწევიან ფიზკულტურის, [illegible] მომავალი ოლიმპიური [illegible] პროპაგანდას.

საუკეთესონი — აქტივისტები და კონკურსის ორგანიზატორები მიიღებენ ტურისტულ საგზურებს მოსკოვის ოლიმპიადაზე. (საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 245 (300)

1978 წ. 16 დეკემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში



**მონრეალის** ოლიმპიური თამაშების შემდეგ საბჭოთა კლასიკური სტილით მოჭიდავენი ერთობ არათანაბრად ასპარეზობდნენ. გუნდი თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესს განიცდიდა. მერე ყველაფერი თანდათან კალაპოტში ჩადგა და წლევულ მეხიკოს მსოფლიოს ჩემპიონატში ჩვენმა მოჭიდავეებმა 10 ჯილდო — ექვსი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჭიდაობის ქართველი მოყვარულისთვის განსაკუთრებით სასიხარულო ის იყო, რომ პირველი „ოქრო" საბჭოთა გუნდს ჩვენმა თანამემამულემ ვახტანგ ბლაგიძემ შესძინა.

მაგრამ ერთია წარმატება და მეორე მისი გამეორება, შენარჩუნება. პირველყოვლისა ამ მიზანს ემსახურება „კლასიკოსთა" საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 22 წლამდე ახალგაზრდები მიიღებენ მონაწილეობას. ამგვარი შეჯიბრება პირველად ეწყობა ჩვენს ქვეყანაში და მით უფრო სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მისი მისამართი თბილისია. სწორედ თბილისში, სპორტის სასახლეში უნდა გამოავლინონ მწვრთნელებმა ძირითადი ნაკრების რეზერვი, ეგრეთ წოდებული მეორე ეშელონი.

ტურნირი რომ ძალზე სერიოზულია და ძალთა შემოწმების, ტალანტთა დაძებნის საუკეთესო ასპარეზად იქცევა, იმითაც ჩანს, რომ სამი დღის განმავლობაში სპორტის სასახლის ხალიჩაზე საერთაშორისო არენაზე აღიარებული „კლასიკური" ქვეყნების ათლეტები ასპარეზობენ. თბილისს ეწვივნენ **იუგოსლავიის, პოლონეთის, გფრ-ის, რუმინეთის, ბულგარეთის, ფინეთისა და უნგრეთის** ახალგაზრდა მოჭიდავეები.

კლასიკური ჭიდაობის ქართველი ოსტატები ბოლო წლებში პროგრესის გზას ადგანან. ვფიქრობთ, ამგვარი ტურნირები, კერძოდ ახალგაზრდა ათლეტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი კარგი სკოლა იქნება ჩვენი, სპორტსმენებისათვის.

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა პირველი ორთაბრძოლები.



# ცხრა ტურის შემდეგ

# თ. გიორგაძის პირველი გამარჯვება

IX ტურის წინ გამახსენდა, რომ ლ. პოლუგაევსკი მ. ტალისთვის მუდამ „უხერხული" მეტოქე იყო. ისინი ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, მაგრამ ყველა პარტია პოლუგაევსკის ფსიქოლოგიური და სათამაშო უპირატესობით მიმდინარეობდა. ახლა კი მათი შეხვედრა რამდენადმე სხვაგვარად წარიმართა. მართალია, მსოფლიოს ექსჩემპიონი თავიდან ღელავდა და შებოჭილად თამაშობდა, მაგრამ მერე დაწყნარდა. ასეთი დასაწყისი მიგვანიშნებდა რომ ძველ მეტოქეთა „დუელი" საინტერესო იქნებოდა. მონაწილეთა ოთახში ფინჯან ყავასთან პოლუგაევსკიმ თქვა, რომ მიაგნო იერიშის საინტერესო ვარიანტს და კარგი პერსპექტივაც ვაუჩნდა. მართლაც, მან მალე განახორციელა კომბინაციური გაგრძელება, მაგრამ უპირატესობა მიიღო... ტალმა. პოლუგაევსკის თანაბარი პოზიცია რომ შეენარჩუნებინა, წინდახედული თამაში დასჭირდა. 34-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ჰაბუკმა ჰ. კასპაროვმა შეხვედრა რაზუვაევთან დაიწყო... წაგებით. საქმე ისაა, რომ მან თამაშის განუახლებლად დათმო VII ტურიდან გ. ტიმოშჩენკოსთან გადადებული პარტია. რაზუვაევთან შეხვედრაშიც მას არ გაუმართლა. სიცილიურ დაცვაში ბაქოელმა ოსტატმა ახალი გეგმა აირჩია, რაც სტრატეგიულად უხეირო აღმოჩნდა და მდგომარეობა უკიდურესობამდე გართულდა. კასპაროვი კარგად ერკვევა გართულებებში, მაგრამ ამჯერად მეტოქის იერიში ვერ ჩაახშო. აი, ამ პარტიის ფრაგმენტი:



თავისი 21. მe4-ით მოსკოველმა დიდოსტატმა ცენტრალური პაიკი შესწირა. კასპაროვი დარწმუნებული იყო, რომ იერიშს მოიგერიებდა და შეწირვა მიიღო (21. ... მ:e5), პარტია ასე გაგრძელდა: 22. კh5! (თუ 22. კ:e5, მაშინ 22. ... ლ:e5 23. კh5 ეb7!) 22. ... მg6 23. მg5 e5 (ერთადერთი დაცვა. ცუდია 23. ... f6 24. მ:h7! გამო) 24. კ:g6 hg (არ შველოდა 24. ... fg 25. ეf7 ლc6 26. ლ:e5!! ე:e5 27. კ:e5 და შავი მეფე საშამათო ქსელშია) 25. ე:f7 ლc6 26. კ:e5 (შეიძლებოდა 26. ლ:e5!?) 26. ... ეb7 27. ლf2 კg4 28. ე:b7 ლ:b7 29. ლh4 კh5 30. ლc4+ მფh8 31. ეf1! კe5 32. b4 კf8 (ან 32. ... ე:e5 33. ლ:c5!) 33. ეf7 ლc8 34. ლf4 a5 35. h4! კასპაროვი დანებდა.

სატურნირო მდგომარეობა განიმტკიცა ა. ბელიავსკიმ, რომელმაც დიდი შემართებითა და შეუპოვრობით წარმართა ბრძოლა ბ. გულკოსთან. იგი ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა იერიშის მცირეოდენი შანსი. ამ ტაქტიკამ წარმატება და 1 ქულა მოუტანა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონებმა გულკომ და ი. დორფმანმა 17 გათამაშებულ პარტიაში, მხოლოდ ერთი მოიგეს (დორფმანმა გ. კუზმინთან), სამი წააგეს და 13 შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს, ნიჭიერი დიდოსტატებისთვის ჯერჯერობით ეს ძალზე მოკრძალებული შედეგია.

ე. გელერი ჩიოდა, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკეები ვეტერანებთან შეხვედრებში მხოლოდ ყაიმისკენ მიილტვიან. ძნელი სათქმელია, რამდენად მართალია გამოცდილი დიდოსტატი, მაგრამ ამჯერად სწორედ ასე იყო: თეთრებით მოთამაშე ს. მაკარიჩევმა სწრაფად გაამარტივა პოზიცია და გელერს ყაიმი შესთავაზა. დიდოსტატს არაფერი დარჩენოდა, წინადადება რომ არ მიეღო.

სამწუხაროა, რომ ჩემპიონატში კიდევ ერთი უფერული, არაფრისმთქმელი ყაიმი აღინიშნა: იგი გ. ტიმოშჩენკომ და ე. სვეშნიკოვმა შექმნეს, როცა სიცილიური დაცვის ცნობილ ვარიანტში მე-14 სვლაზე დაზავდნენ სვლების გამეორებით. ყაიმით კიდევ სამი პარტია დამთავრდა: ვ. ბაგიროვ — ა. მიხალჩიშინი (24 სვლა), ვ. ტუკმაკოვ — ვ. ცეშკოვსკი (37) და თ. გიორგაძე — დორფმანი (30). ჩემი აზრით, ქართველ მოჭადრაკეს უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა, რადგან უკეთესი პოზიცია ჰქონდა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას შედგა V ტურიდან გამოტოვებული გიორგაძე — რაზუვაევის შეხვედრა. მოსკოველმა დიდოსტატმა უფიმცევის დაცვაში იჩქარა ცენტრის გახსნა, უსიამოვნო დარტყმის ქვეშ მოექცა და დიდი მატერიალური ზარალი განიცადა. მართალია, თბილისელმა მოჭადრაკემ პარტიის ტექნიკური ნაწილი მაინცდამაინც კარგად ვერ ჩაატარა, მაგრამ 49-ე სვლაზე პირველი გამარჯვება იზეიმა.

კუზმინმა მოუგო ო. რომანიშინს წინადღით გადადებული პარტია, მაკარიჩევი დამარცხდა ცეშკოვსკისთან, ხოლო ტუკმაკოვ — სვეშნიკოვი და დორფმან — ტიმოშჩენკო დაზავდნენ.



ამრიგად, ჩემპიონატში დაუმარცხებლად სამი მოჭადრაკე თამაშობს — გელერი, გიორგაძე და ცეშკოვსკი. ლიდერთა ჯგუფი კი ასე გამოიყურება: მ. ტალი — 6 ქულა, ა. ბელიავსკი — 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ცეშკოვსკი — 5,5, ე. გელერი, ლ. პოლუგაევსკი, ე. სვეშნიკოვი — 5-5, თ. გიორგაძე — 4,5 (1), ჰ. კასპაროვი, ო. რომანიშინი — 4,5-4,5.

დღეს, XI ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: მაკარიჩევი — მიხალჩიშინი, პოლუგაევსკი — ბაგიროვი, ტუკმაკოვი — გელერი, კუზმინი — ტალი, ტიმოშჩენკო — ცეშკოვსკი, გიორგაძე — რომანიშინი, რაზუვაევი — სვეშნიკოვი, ბელიავსკი — დორფმანი, გულკო — კასპაროვი.

ვ. მიქენასი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

* * *

სურათზე: ვ. ცეშკოვსკი.
ს. კილაძის ფოტო.

# შუაიმო თამაში

ჭადრაკი

**ფრუნზე, 15 დეკემბერი** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება ქალთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი. IX ტურში არც ერთი პარტია ყაიმით არ დამთავრებულა: მხოლოდ ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა — მ. რანიკუ (ტალინი) — ნ. გურიელი გადაიდო თანაბარ მდგომარეობაში.

ნ. იოსელიანმა ტაქტიკურ ბრძოლაში (სიცილიური დაცვა) აჯობა საერთაშორისო ოსტატ ტ. ფომინას (ტალინი) და გაიმარჯვა. ლ. ბელავენეც (მოსკოვი) — ლ. საუნინას (სვერდლოვსკი) პარტიაში კარო-კანის დაცვა გათამაშდა, ცაიტნოტში საუნინამ კარგად გამოიყენა მეტოქის შეცდომა და 35-ე სვლაზე მოიგო. დიდოსტატმა ტ. ზატულოვსკაიამ (მოსკოვი) თანამიმდევრული თამაშით სძლია ტ. მოროზოვას (ოდესა). ქულა ჩაიწერა ნ. ტიტორენკომ (მოსკოვი) თანაქალაქელ ლ. ზაიცევასთან შეხვედრაში — ორი კუს უპირატესობა მიიღო და 31-ე სვლაზე გაიმარჯვა.

თ. ხუგაშვილმა ორი მხედრის დებიუტში შავებით უპირატესობა მიიღო ლ. ლისენკოს (კიევი) წინააღმდეგ და 39-ე სვლაზე გაიმარჯვა.

პარტიები მოიგეს, აგრეთვე, სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. სემიონოვამ (კიევი) და დიდოსტატმა მ. ლიტინსკაიამ (ლვოვი). პირველმა სიცილიურ დაცვაში ფიგურის შეწირვით ტ. ჩეხოვას (მოსკოვი) დააყრევინა ფარ-ხმალი, მეორემ 32-ე სვლაზე დაამამათა თ. ვორონოვას (ნაბერეჟნიე ჩელნი) გვირგვინოსანი.

გუშინ გადადებული პარტიების დამთავრებისას რანიკუ თამაშის განუახლებლად დაუზავდა ზატულოვსკაიას და ბრძოლის შემდეგ — გურიელს. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, ვორონოვა — ფომინას და VI ტურიდან გამოტოვებული სემიონოვა — ბელავენეცის შეხვედრა.

იოსელიანმა ზუსტი თამაშით დაამარცხა მოროზოვა, ხუგაშვილმა — ლიტინსკაია.

მეორე გადადებული პარტიის დამთავრება ჩეხოვასთან, ხუგაშვილმა ვერ მოასწრო. ფომინას პარტიებში ბელავენეცსა და სემიონოვასთან თამაში არ განახლებულა.

ამრიგად, 9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ნ. გურიელი, მ. რანიკუ — 6,5-6,5 ქულა, მ. ლიტინსკაია — 6, ტ. ზატულოვსკაია, ნ. იოსელიანი, ნ. ტიტორენკო — 5,5-5,5.

გ. მამაგარიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვი — XXII ოლიმპიადის სარბიელი

## დაამყარებენ კონტაქტებს

ბერნი. „ეჭვს არ იწვევს ის, რომ მოსკოვის ოლიმპიადა კარგად იქნება ორგანიზებული, — საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა „სვის ტაიმინგის“ გენერალურმა მდივანმა, წარსულში ცნობილმა შვეიცარიელმა სპორტსმენმა დენის ოსვალდმა. — მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს უდავოდ ექნება ისტორიული მნიშვნელობა. აქ ერთმანეთს შეხვდებიან ბევრი ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც სპორტულ სარბიელებზე შეჯიბრებისა და ურთიერთგამოცდილების გაზიარების გარდა დაამყარებენ მეგობრულ კონტაქტებს, რაც ასე აუცილებელია ქვეყნებისა და ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისთვის. როგორც შვეიცარიის საქმიანი წრეების წარმომადგენელი, — განაგრძო დ. ოსვალდმა, — მე კმაყოფილი ვარ საბჭოთა ოლიმპიურ კომიტეტთან დამყარებული კონტაქტით. შვეიცარიელმა მესაათეებმა სიამოვნებით შესთავაზეს მოსკოვს თავიანთი პროდუქცია და შეძლებენ თანამედროვე სპორტის მიერ წაყენებული მაღალი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. (საქდესი).



მოსკოვის მშენებარე ოლიმპიური ობიექტებიდან მწყობრში პირველი ჩადგა წრიული გზა საგზატკეცილო ველორბოლებისთვის კრილატსკოეში.
ს უ რ ა თ ზ ე: ველოსიპედისტები ახალ გზაზე; უკანა პლანზე — ველორდომის მშენებლობა.
საქდესის ფოტო.



## „ორი თვის შემდეგ“...

●

### „ბერლინერ-ცაიტუნგის“ ფურცლებზე

●

ვენა. „მოსკოვში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა სპორტული და სხვა ნაგებობებისა, რომლებიც 1980 წლის ზაფხულში უმასპინძლებენ დედამიწის ყველა კონტინენტის სპორტსმენებსა და მრავალრიცხოვან მაყურებლებს“, — წერს ავსტრიის გაზეთი „არბაიტერ-ცაიტუნგი“ წერილში „20 თვის შემდეგ აგიზგიზდება ოლიმპიური ცეცხლი“.

„რვამილიონიანი ქალაქი, — აღნიშნავს გაზეთი, — ცხოვრობს მჩქეფარე და დაძაბული ცხოვრებით. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ აქ ოლიმპიური თამაშებისთვის გიგანტური მშენებლობა მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს იწვევს, აგრეთვე, რუსული არქიტექტურის ძეგლები, ფართო პროსპექტები, მრავალრიცხოვანი მუზეუმები, თეატრები, საკონცერტო დარბაზები. ამჟამად მათ შეემატა ოლიმპიური სოფელი. როცა მოსკოვში ჩადიხარ, გრნობ, რომ წარმოებს არაჩვეულებრივად დიდი მასშტაბის ოლიმპიური სამუშაოები. შენს თვალწინ მრავლდება სტადიონები, სპორტული დარბაზები, სასტუმროები, აეროდრომები. შენდება მთელი ქალაქი მომავალი ოლიმპიელებისთვის“.

„განცვიფრებული რჩები, — წერს „არბაიტერ-ცაიტუნგის“ კორესპონდენტი, — როცა მოხვდები მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთით, სადაც უკვე გამოიკვეთა ოლიმპიური სოფელი, შენდება 16-სართულიანი საცხოვრებელი სახლები, კულტურული ცენტრი კინოთეატრით და საკონცერტო დარბაზით, მაღაზიებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მთელი კომპლექსი.

მაღლა მიიწევს პრეს-ცენტრის შენობის სართულები, სადაც 7400 ჟურნალისტს მუშაობის საუკეთესო პირობები ექნება. ნანახიდან გამომდინარე, დღეს შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვში გაიმართება გიგანტური ოლიმპიური თამაშები, რომელსაც ტელევიზიით ნახავს დედამიწის ყველა მცხოვრები. სატელევიზიო გადაცემები ორი ხელოვნური თანამგზავრის საშუალებით მოეწყობა.

„ოლიმპიადა-80“-ის გენერალური რეპეტიცია, — წერს გაზეთი, — გაიმართება 1979 წლის ზაფხულში, როცა ჩატარდება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა“.

# ელადის სახელით

**ეძღვნება პირველი განახლებული ოლიმპიური თამაშების გმირის ლუის სპიროსის ხსოვნას.**

●

ტალღები შრიალით მიგორავენ უკან. მზე სანახევროდაც ვეღარ ასწრებს ქვიშის შეშრობას — ქაფმოგდებული ზვირთების ახალი წყება ჯიუტად აწყდება ნაპირს. მარათონის სანახაობაზე ამ ოცდახუთი საუკუნის წინათაც ასე ბობოქრობდა ზღვა. სანაპიროზეც ისევ მოჯარულა ხალხი, როგორც მაშინ, სპარსელებზე ბერძენთა ბრწყინვალე გამარჯვების დღეს. თუმცა, ამჟამად აქ შეკრებილთ არც მახვილი უპყრიათ ხელთ და არც ვისიმე მტრობა უდევთ გულში.

სახელდახელოდ გამართულ ფიცარნაგზე შემდგარი კაცი დინჯად მიმართავს მრავალრიცხოვან აუდიტორიას:

— უძველეს ელადაში ოლიმპიური თამაშების პერიოდი უმძვინვარესი ომების დაზავებისა და სისხლისღვრის შეწყვეტის დროდ ითვლებოდა: თეთრსამოსიანი მალემსრბოლელები დაქროდნენ ქვეყანაში. ისინი ოლიმპიურ თამაშებზე მოუხმობდნენ ჭაბუკსა და ბრძენს, მტერსა და მოყვარეს, რათა უგუნურ სისხლის ღვრაში კი არა, ვაჟკაცურ შერკინებაში ეჩვენებინათ გულოვანობა, სიჩაუქე, მუხლმაგრობა, მკლავის ძალა და თვალის სიმახვილე. ახლა, ოლიმპიურ თამაშობათა მივიწყებული ტრადიციების განახლების დღეს...

ორატორი იხსენებს ოლიმპიურ თამაშობათა ისტორიას, უშორეს წარსულში სახელმოხვეჭილ ოლიმპიელებს, მათ შორის პირველს, თამაშობათა ექვსგზის ჩემპიონს, მოჭიდავე მილონ კრეტონელს. ხოლო ოლიმპიურ თამაშებში დემოსფენეს, ჰეროდოტეს, სოკრატესა და პითაგორას მონაწილეობის შესახებ ცნობას ოვაციებით ხვდებიან დამსწრენი.

— ნუ დავივიწყებთ, რომ მეცნიერების ეს უთვალსაჩინოესი კორიფეები მარტო სიბრძნესა და ლექსთწყობაში როდი ცდიდნენ ძალას, პითაგორა ოლიმპიურ თამაშობათა ჩემპიონიც კი გახლდათ კრივში და დიდი სიამაყითაც ატარებდა ამ ტიტულს.

შემდეგ ორატორმა ამცნო ხალხს, ახალი ერის მეოთხე ასწლეულის ბოლო წლებში, რომის იმპერატორის ფეოდოს პირველის უგუნური გადაწყვეტილება, ოლიმპიური თამაშების კერპთაყვანისმცემლობის ბრალდების მიზეზით აკრძალვის შესახებ.

— და აჰა, თხუთმეტი საუკუნის შემდეგ, პლანეტის საუკეთესო შვილებმა ფრანგი მასწავლებლის მიერ კუბერტენის თაოსნობით ინებეს ოლიმპიური თამაშების საუკეთესო ტრადიციების გაცოცხლება.

ორატორმა მარათონის შესახებ ჩამოაგდო სიტყვა:

— ადგილი, სადაც ახლა ჩვენ ვდგევართ, ელინთა დიდებული გამარჯვების მოწმე გახლავთ. ორიათას ხუთასი წლის წინათ ამ ადგილიდან დაიძრა ბერძენი მალემრბოლელი, რომელმაც მცხუნვარე მზის ქვეშ შეუსვენებლივ განვლო ორასი სტადიონი ქვაღორღიანი გზა და ათენის მცხოვრებთ მტერზე გამარჯვება აუწყა. ეს გახლდათ ვაჟკაცობისა და ამტანობის სანიმუშო მაგალითი. იმ დღის შემდეგ ჩატარებულ ყველა ოლიმპიურ თამაშობაზე იხსენებდნენ ჩვენი წინაპრები ამ ამბავს და ახალ-ახალი თაობათა წარმომადგენლნი მისაგებს მიუზღავდნენ გმირთა ხსოვნას. ახლა კი თქვენ, მოასპარეზეთ გეკუთვნით სიტყვა!

ორატორმა განცალკევებით მდგომ ოცდახუთ ათლეტს გადახედა. ისინი უკანასკნელ დარიგებებს ისმენდნენ თავიანთ მზრუნველთაგან.

ათლეტთა შორის იდგა გამხდარი და მზემოკიდებული ჭაბუკი ლუის სპიროსი. იგი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა დანარჩენ ათლეტთაგან და თუ კი მაინცა და მაინც გამორჩევას მოიწადინებდა ვინმე, მისი ოდნავ მოხრილი ბეჭები და გრძელი ხელები ვერაფერ საიმედოს ეტყოდა მომავალ პაექრობაში მისი გამარჯვების იმედად. იგი დარცხვენილი იდგა, თითქოს ნანობდა კიდეც უნებლიე ახირებას — ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი რომ გამოთქვა.

განსაკუთრებით ამერიკელ თომას ბერკის მხარდამხარ გამოსვლა იყო ძნელი გასაბედი. თომასი დოლის ცხენივით წვრილ და უჩინარი ზამბარებით დამუხტულ კუნთოვან კანჭებზე იდგა. ახოვანს ბრინჯაოსფრად უბრწყინავდა ნაწრთობი სხეული. ფეხიდან თხემამდე, რაღაც იმდაგვარ ძალასა და ანდამატს შეიცავდა, რაიც კეთილად განაწყობდა მის მნახველს. იფერებდა კიდეც თაყვანისცემას.

თომას ბერკს არაფრით ჩამოუვარდებოდა ავსტრალიელი ედუარდ ფლეკი. შორეული კონტინენტიდან ჩამოსული ეს ათლეტი როგორღაც აღემატებოდა კიდეც ამერიკელს, თუმცა ერთი შეხედვით ძნელი იყო მისი უპირატესობის ნიშანდობლივ გამოყოფა.

— გაცილებით დინჯი და საზრიანი ჩანს, — უჩურჩულა ქსანთეოსმა ლუისს.

ლუისმა სიყვარულით გადახედა მოხუც მზრუნველს. თავადაც რაღაც ამის მსგავსს ფიქრობდა იმ ორთა შემყურე.

— მეტწილად მაგაიზე გეჭიროს თვალი, — ჩურჩულით გააფრთხილა ქსანთეოსმა. — ნაკრები ძალისას ნურც ამ ფრანგს მიიჩნევ, იგი ყველაზე უკეთ ფლობს სხეულს, ტანისა და კიდურების შერწყმა, გულმკერდის პროპორციულობა... ერთი სიტყვით, მრავალი ღირსებით დაუჯილდოებია შემოქმედს, გახსოვდეს, ლუის...

— აკი ყველაფერი მითხარით? იქნებ ეჭვობთ ჩემს...

— ლუის, — ერთბაშად მოიღრუბლა მოხუცი, — ნუთუ ასეთი რწმენით გინდა იასპარეზო? გრცხვენოდეს! — ქსანთეოსმა ძლივს დაიოკა აღშფოთება. — ყური დამიგდე. ბერძენ ხალხს მუდამ სჯეროდა თავისი გმირების. ბებერი ქსანთეოსი ახლა ხალხის სახელით გელაპარაკება, მისი და შენი საყვარელი ელადის სახელით. დღევანდელ მარათონში გამარჯვება ერის ღირსებაა...

ბექობზე შემდგარი თეთრალმიანი კაცი წესრიგისაკენ მოუწოდებდა მაყურებელს — სასტარტო ხაზის განთავისუფლებასა და ყურადღებას ითხოვდა.

ზამბარებივით დაჭიმული, ცალ ფეხზე მსუბუქად, ჩახრილი ათლეტები ხარბად ისუნთქავდნენ ელადის ხვატდაკრულ ჰაერს.

მერე ყველაფერი უცებ მოხდა. ქსანთეოსიც ააფორიაქა თეთრი ალმის შეტოკებამ, ვითომ თვითონაც სასტარტო ხაზიდან წარმომდგარიყო, მოასპარეზეთ მიჰყვა და პირველი სტადიონის ნახევრამდე სდია.

— ქუსლი, ტერფი, წვერი, ტერფი, ქუსლი, — რიტმულად ჩურჩულებდა. მერე მოასპარეზეთა უკან მიმქროლავ ეტლთა შორის რომელიღაცაზე ციმციმ აიტაცეს, მეეტლეს დაუსვეს გვერდით — აქედან ადევნე თვალი შენს აღზრდილსაო.

ეტლებსა და ცხენებს მილეთის ხალხი ადევნებოდა. ბექობებზე არბოდნენ, მოკლეზე სჭრიდნენ, წინაც უსწრებდნენ მოასპარეზეთ და შეძახილებითა და ყიჟინით იოხებდნენ გულს. ხუთი-ექვსი სტადიონის გალევის შემდეგ, როცა განცალკევდა და დაგრძელდა მოასპარეზეთა მწკრივი, მაყურებელი აზვავდა — თითქმის ნახევარი სტადიონით უსწრებდა სხვებს ლუის სპიროსი, — ვერ გაუძლებს აღებულ ტემპსო, — გაიძახოდნენ.

ლუისი კი თავდახრილი იმოკლებდა გზას. რუხი ფერის მტვერი და საკუთარი ფეხის წვერები — აი რას ხედავდნენ მისი თვალები.

უკან დარჩა გზის ნახევარი, ძალების მოსინჯვისა და პირველი იმედებისა თუ ეჭვების გამქარწყლებელი, მოასპარეზეთა რიცხვის გამნახევრებელი და ბრძოლის ჟინის გამამწვავებელი.

წინ უფრო ძნელი, და დაძაბული და ახალი მოულოდნელობებით აღსავსე ნახევარი ედოთ. ასპარეზობას თერთმეტი ათლეტიღა აგრძელებდა, მათ შორის ყველაზე მტკიცედ თომას ბერკი და ედუარდ ფლეკი გრძნობდნენ თავს. ოფლით დანამულ მაისურების გარდა, არაფრით ემჩნეოდათ განვლილი გზის ტვირთი. კვლავინდებურად თანშეწყობით, ზომიერი რხევით მოძრაობდნენ მათი ფეხები, კორპუსი, ხელები. გამართლდა მოხუცი ქსანთეოსის ვარაუდი. ძლიერი აღმოჩნდა ფრანგიც, მაგრამ ლუისს რაღა მოსდის? ნუთუ დრო არ არის ტემპს მოუმატოს, გამოცოცხლდეს?

— ცოტა შეუწყვეტით ცხენებს! — მეეტლეს მიმართავს ქსანთეოსი. — ემშაკმა დალახვროს...

ლუისს, რა თქმა უნდა, არ ესმოდა ქსანთეოსის წყრომა. იგი ახლა მხოლოდ წინ გაჭრილ სამეულს ხედავდა. „სამშობლოს სახელით, ელადის სახელით!“ — გამშრალი ტუჩებით ჩურჩულებდა ის. მოასპარეზეთა შორის კი თანდათან იზრდებოდა დისტანცია. მანძილს მათ შორის ახლა უკვე სტადიონებით ზომავდნენ და არა ნაბიჯებით. ათენის მისადგომებთან იმატა ისედაც ჭარბმა მაყურებელმა, აზვირთდა, აგუგუნდა შეძახილები. მალემსრბოლელებს ცნობები მოჰქონდათ — ფინიშამდე ოციოდე სტადიონი დარჩა, დისტანციას სამიღა შემორჩნენ: თომას ბერკი, ედუარდ ფლეკი და ლუის სპიროსი. ეს იყო უდიდესი სიხარულისა და მწარე ეჭვების წუთები. გაუძლებდნენ კი ბოლომდე? თუ გაუძლებდნენ, ვინ იქნებოდა პირველი? ამერიკელი, ავსტრალიელი თუ ელადის შვილი?

— ელადა! ელადა! ელადა!

და აჰა, ახალი საოცრება — თომას ბერკი შედგა, სუნთქვაშეკრულმა მწარედ გაიქნია თავი, ხელები მოწყვეტით ჩამოუცვივდა და... აღარ შემიძლიაო, წაიჩურჩულა.

ფლეკი თუ სპიროსი?! ახლა ამ ორს მიჰყვება ხალხი ნიაღვრად. ლუისი რაღაც ნაბიჯებით ჩამორჩება ედუარდს, თითქოს ესმის კიდეც მეტოქის სუნთქვა, გულის ძგერაც კი.

არა და არ თმობს ფლეკი, თავდაუზოგავად იბრძვის მას უკვე ამცნეს თომას ბერკის ასპარეზობიდან გამოთიშვა. ისიც კარგად იცის, რომ შეჯიბრების ბედს ეს რამდენიმე წამი გადაწყვეტს. დაეწევა თუ არა ეს ქარივით მალი ბერძენი?

ლუისი წინანდებურად თავდახრილი გარბის. აჰა, გაუსწორდა კიდეც მეტოქეს, გვერდი გვერდ მიჰყვება, თუმცა არა, ეს ხომ დაძაბულობის შედეგია, სასურველის სინამდვილედ წარმოდგენა, აღგზნებული წარმოსახვის ნაყოფი.

ლუისი მოხიბლულია ხალხის აღფრთოვანებით. ისინი „ელადას“ გაიძახიან. ელადაში კი ამჟამად სოფლის უბრალო ფოსტალიონი — ლუისი იგულისხმება. „რა დიდია ადამიანი, როცა სამშობლოს დიდსა და უწმინდეს სახელს დაუწყვილებენ“. ლუისი მოხიბლულია ავსტრალიელი ათლეტითაც, იგი ღირსეულ მეტოქედ მიაჩნია. მაგრამ ეს რა ხდება? ფლეკი უნიათოდ დგამს რამდენიმე ნაბიჯს, თითქოს საცაა მოეკვეთება მუხლები და დაეცემა. ასეც მოხდებოდა, ლუისი რომ არ მივარდნოდა. მუჭში ჩაბღუჭულ ფორთოხალს პირში აწურავს, შემდეგ ავსტრალიელს ვილაცის მკლავებში სტოვებს და გზას განაგრძობს. ყვავილების თაიგულები ცვივა მტვრიან ქვაფენილზე. მის შეგრძნებაში ისევ ცოცხლდება ათენელი მეომარი — პირველი მარათონელი და თითქოს უძველეს წინაპართან გამოჯიბრებას ლამობსო, ერთბაშად უმატებს სვლას. ეს კეთილშობილი პაექრობა ფრთებს ასხამს, აღაგზნებს. „ელადა!“, „ელადა!“, — ჩაესმის ყურში.

და აი, ხალხით გაჭედილი მოედანი, ნუთუ? — ლუისი თვალებს აღარ უჯერებს, ნუთუ? — ეკითხება თავს და ასპარეზობის დაწყებიდან პირველად იხედება უკან. ნუთუ ერთად ერთმა ვირბინე?

ტაში და მუსიკა, მზე და ყვავილები, ღიმილი, სიცილი, შეძახილები.

„ღმერთო ჩემო! ეს რა ამბავია!“

მართლაც საოცარი რამ ხდება ათენის მოედანზე. თავად ხელმწიფე, სრულიად საბერძნეთის მეფე წამოდგა ლოჟიდან, დედოფალსა და ამალას ხელის აწევით ანიშნა, ხელი არ შემიშალოთო, მსუბუქად ჩაირბინა კიბეები და ლუისი სპიროსს ამოუდგა გვერდით.

— ელადა! — ამაყად დაიძახა და ლუისს გადაეხვია. — ელადა!

მერე ხელი ჩაჰკიდა ლუისს და მასთან ერთად შემოურბინა მოედანს საპატიო წრე.

— ელადა! — არ ცხრებოდა ხალხი.

— ელადა! — ხმის კანკალით გაიძახოდა მოხუცი ქსანთეოსი და გრძნობამორეული თავის აღზრდილს დაეძებდა ზღვა ხალხში.

**დავით ახაურავა.**

# მუდამ სიკეთის მთესველი



## მიხეილ აგაჯანოვი 70 წლისაა

იგი ყოველთვის ღიმილით ხვდება ნაცნობ-მეგობრებს, რომლებიც კეთილი და უბოროტო კაცის სახელმა ასე მრავლად შესძინა. ის ახლა 70 წლისაა, მაგრამ ჟამთასვლა ისეთ ენერგიულ კაცს, როგორიც მიხეილ აგაჯანოვია, იშვიათად თუ დაამჩნევს ადრეული სიბერის კვალს. პირიქით, ფიზიკურადაც მხნედ გამოიყურება და სულიერადაც. წლები კვლავაც სიბრძნეს და გამოცდილებას მატებს, რასაც მართლაც რომ შესაშური ემოციონალობით ამჟღავნებს ადამიანებთან უბრალო და თავმდაბლურ ურთიერთობაში, მათზე ზრუნვაში.

ცხოვრება, რარიგი კეთილმოწყობილი და უნაკლოც უნდა იყოს, კაცის ზნეს და ხასიათს სრულყოფილს ვერ გახდის თუ თავად არ იბრძვის საზოგადოებაში შესაფერისი ადგილის დამკვიდრებისთვის. მიხეილ აგაჯანოვმა სწორედ ასეთი ბრძოლის გზა გამოიარა. მის პორტრეტს, ბუნებრივ სიხალასესთან ერთად, ცხოვრების მიმართ აქტიური დამოკიდებულებით ათეული წლების განმავლობაში გამომუშავებული ალღო და შეუცთომლობა ხდის ნათელს და საცნაურს. ჯერ კიდევ 15 წლისამ დაიწყო შრომა და ის პირველი განცდები, მშრომელი კაცის გვერდით მოპოვებული ალალი ლუკმა-პური, უბრალო ადამიანების გრძნობები და სისადავე კაცურ კაცობის საგზლად გაიყოლა მთელი ცხოვრების გზაზე. ეს უიოლებდა ადამიანური ღირსებების დაცვა-შენარჩუნებისთვის მრავალ დაბრკოლებათა გადალახვას.

განათლებამ და ცხოვრების სიბრძნემ შინაგანად მოუწოდა ჩამდგარიყო ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში. ამ საქმეს მიუძღვნა კიდეც ცხოვრების უმეტესი ნაწილი. 1952 წლიდან იგი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ასწავლის სკკპ ისტორიას. პედაგოგობამდე, კათედრის დოცენტამდე მისასვლელი გზა, ცხადია, ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. ეს იყო ხანგრძლივი შრომისა და გარჯის ლოგიკური შედეგი. 1929 წელს მიხეილ აგაჯანოვი თბილისში, ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში შედის. მერე სამუშაოდ იგზავნება კომკავშირულ, პროფკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში. აქ იღებს ცხოვრების აუცილებელ გაკვეთილებს. გამოცდილებამ, დაკვირვებამ და ამის შედეგად შეცნობილი სიახლეების განზოგადებამ კალამიც აალებინა ხელში. ცენტრალურ გაზეთში — „კვების ინდუსტრია“ და საკავშირო რადიოკომიტეტის გადაცემებში — „სოციალისტური მიწათმოქმედება“, ჩნდება მისი პირუთვნელი, სიმართლის ამსახველი და, რაც მთავარია, ანალიტიკური კორესპონდენციები, ნარკვევები.

თბილისში დაბადებული და აღზრდილი კაცი ნაღდი ინტერნაციონალისტია. ამავე სულისკვეთებას უნერგავს იგი ახალგაზრდებსაც. საგულისხმოა, რომ აგაჯანოვმა ამ თემას მრავალი ნაშრომი მიუძღვნა, რომელთა შორის გვინდა განსაკუთრებით გამოვყოთ გამოკვლევა „ქართველი რევოლუციონერები სომხეთში“ და წიგნი, რომელიც წლეულს გამოვა სახელწოდებით „ნარკვევები ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციური თანამეგობრობის ისტორიიდან“. მის საწერ მაგიდაზე ნახავთ ბევრი გამოჩენილი ადამიანის, მათ შორის კონსტანტინე გამსახურდიას ავტოგრაფით დამშვენებულ წიგნებს თუ სურათებს. საქმიანი მიმოწერა აქვს სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში მომუშავე მეცნიერებთან.

მიხეილ აგაჯანოვი დიდი ხანია გულდასმით იკვლევს საქართველოში ფიზიკური კულტურის ისტორიის ისეთ რთულ საკითხს, როგორიცაა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ შექმნა და მისი საქმიანობის შეფასება. იმთავითვე ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობაა. აგაჯანოვმა კი თავის წერილებში დამაჯერებლად გასცა პასუხი უამრავ საჩოთირო კითხვაზე, გამოამზეურა ზოგიერთი მკვლევარის უსაფუძვლობა და აშკარა ტენდენციურობა. მისმა გამოკვლევებმა, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა პრესაში, დიდი ბიძგი მისცა ამ საკითხის ობიექტური კვლევის აუცილებლობას.

კოლეგები, სტუდენტი ახალგაზრდობა, მთელი ჩვენი ფიზკულტურული და სპორტული საზოგადოებრიობა ხანგრძლივ ჯანმრთელობას და შემოქმედებით მუშაობას უსურვებს კეთილ მეგობარსა და დამრიგებელს, მეცნიერსა და პედაგოგს მიხეილ აგაჯანოვს.

ვ. ელაშვილი,
თ. გაჩეჩილაძე.

# ცურვა. ვასრულებდი მწვრთნელის მითითებას

## საუბარი მსოფლიოს ჩემპიონთან

ამ ზაფხულს დასავლეთ ბერლინში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ლენინგრადელი მოცურავის ვლადიმერ სალნიკოვის გამარჯვება 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სპეციალისტებმა სენსაციად მიიჩნიეს — ამ სახეობებში ხომ მრავალი წელია, რაც აშშ-ს სპორტსმენები ითვლებიან ტონის მიმცემად, ეგეც არ იყოს, შარშან 400-მეტრიან დისტანციაზე სალნიკოვი მსოფლიოს კლასიფიკაციაში მხოლოდ 70-ე ადგილზე იყო. და აი, დასავლეთ ბერლინში ვლადიმერმა თავისი შარშანდელი მიღწევა ერთბაშად 11,13 წამით გააუმჯობესა.

რაც შეეხება 1500 მეტრზე ცურვაში გამარჯვებას, ჩვენი აზრით, აქ მოულოდნელი არაფერი ყოფილა. სალნიკოვმა შარშან მხოლოდ მსოფლიოს რეკორდსმენს ბ. გუდელს (აშშ) დაუთმო პირველობა. შემდეგ, მოულოდნელად, გუდელი იმდენად ჩამორჩა, რომ წლეულს მსოფლიოს 10 საუკეთესო მოცურავეთა სიაშიც ვერ მოხვდა. სალნიკოვის პირველობა პროგრამის ამ სახეობაში კი პირიქით, საკმაოდ აშკარა გახდა.

სალნიკოვი 18 წლისაა. იგი 69 კილოგრამს იწონის, ხოლო სიმაღლით 182 სანტიმეტრისაა.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება გაზეთ „შპორტეხოში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ **ვ. სალნიკოვთან.**

აი, ისიც:

**— თქვენი გამარჯვება 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მე-3 მსოფლიო ჩემპიონატის სენსაციებიდან ერთ-ერთი იყო. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— დიახ, ოღონდაც, ნაწილობრივ. თავისუფალი სტილით ცურვაში ამერიკელი სპორტსმენები დღეისთვის მაინც ყველაზე ძლიერები არიან და, ამიტომაცაა, რომ რომელიმე სხვა ქვეყნის წარმომადგენლის გამარჯვება ამ სახეობაში, ცოტა არ იყოს, სენსაციურად გამოიყურება.

**— რა იყო თქვენი გამარჯვების საიდუმლო?**

— შესაძლოა ჩემი ტაქტიკური სვლა. გაცურვის მეორე ნაწილამდე თავს ნება მივეცი ჩრდილში ვყოფილიყავი, რათა დანარჩენები არ დამეფრთხო. ამასთან, მკაცრად ვასრულებდი მწვრთნელის დავალებას, რომ დისტანციის მეორე ნახევრისთვის ძალა დამეზოგა. ამან წარმატება მომიტანა კიდეც.

**— პირველ 200 მეტრზე 1.57,05 აჩვენეთ, მეორე 200 მეტრზე კი — 1.54,05. თუ შედიოდა ეს თქვენს გეგმაში?**

— დიახ, შედიოდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ ჩემი კონკურენტები ნიადაგ ყურადღების ქვეშ მყოლოდა და შორს არ გამეშვა.

**— როდიდან დაიწყეთ ფიქრი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოწინავეთა შორის მოხვედრილიყავით?**

— ახალი წლიდან, როცა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეთა სამატჩო შეხვედრის დროს ნათლად გამოჩნდა ჩემი შესაძლებლობები.

**— როდის დაიწყეთ ცურვა?**

— რვა წლიდან. ჩემს მშობლიურ ქალაქ ლენინგრადში დავიწყე ვარჯიში იგორ კოშკინის ხელმძღვანელობით, რომელიც დღესაც ჩემი დამრიგებელია. ლენინგრადში, როგორც ვაჟების, ისე ქალთა ძლიერი ნაკრები გუნდები გვყავს. იულია ბოგდანოვაც იქ ჩამოდის ხოლმე და უკვე ვარჯიშისას იმართება მძაფრი კონკურენცია. ეს გავლენას ახდენს ჩემს მომზადებაზეც.

გერმანულიდან თარგმნა
ბ. ლამბაშიძემ.

# გულმავიწყობა? რეპლიკა

ახლა ჭადრაკის ყველა გულშემატკივარი დიდი ინტერესით ადევნებს თვალს ფრუნზეში მიმდინარე ქალთა მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირს, რომელშიც წარმატებით გამოდიან ჩვენი ნიჭიერი მოჭადრაკეები ნ. გურიელი, ნ. იოსელიანი და თ. ხუგაშვილი. მაგრამ ჩვენს ჭადრაკის სასახლეში, სადაც კარგადაა ორგანიზებული სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატი, რატომღაც ვერაფერს შეიტყობ ზონალური ტურნირის შესახებ.

რატომ არ უნდა იყოს სასახლის ფოიეში გამოკრული ფრუნზეს ტურნირის ცხრილი უკანასკნელი შედეგებით? ნუთუ სასახლის მესვეურთ არ აღელვებთ ჩვენი ამბები ფრუნზედან?

სხვათა შორის, იქვე სასახლეში ამჟამად ტარდება საქართველოს უძლიერეს ჭაბუკ მოჭადრაკეთა ტურნირიც, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 30 წარმომადგენელი იბრძვის სსრ კავშირის ჭაბუკთა ჩემპიონატის ორი საგზურისთვის. მაგრამ სასახლეში ვერც ამ შეჯიბრების ცხრილს ნახავთ.

რატომ ხდება ასე?

**გ. შევარდენიძე, ნ. ბერიევა, ო. ფიფია ჭადრაკის გულშემატკივრები.**

# ლიდერობს გოჩა თორია

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში სტარტი აიღო საქართველოს ჭაბუკთა შესარჩევმა ტურნირმა, რომლის 30 მონაწილეთა შორის არიან თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, მცხეთის, ცხაკაიას და სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები. ამ შეჯიბრებამ უნდა დაასახელოს სსრ კავშირის ჭაბუკთა ჩემპიონატის ორი მონაწილე.

შესარჩევი ტურნირი შვეიცარიული (9 ტური) სისტემით ტარდება.

5 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ზუგდიდელი ოსტატობის კანდიდატი გ. თორია („კოლმეურნე“) — 4,5 ქულა. 4-4 ქულა აქვთ მ. იაელიანს (სოხუმი, „სპარტაკი“), დ. ჩაჩიბაიას, ბ. ხეცურიანს (ორივე — თბილისი, „კოლმეურნე“).

შეჯიბრება 23 დეკემბრამდე გაგრძელდება.

თ. ქიქავა.

• • •

სურათზე: მიმდინარეობს მორიგი ტური.

ა. კოტორაშვილის ფოტო.







# „ლონსდეილის სარტყლის“ კავალერი

ეს მოკრივე დიდად სახელგანთქმულია ინგლისში. ჰენრისა და მისი ტყუპისცალ ძმას, ჯორჯს ბიძამ დაბადების დღეზე აჩუქა კრივის ხელთათმანები და როდი უწყოდა თუ ამით ინგლისის კრივის ისტორიაში ახალ ფურცელს ჩასწერდა.

ძმები გაიტაცა სპორტის ამ სახეობამ და მალე ისინი შერაცხეს კენტის საგრაფოს ერთ-ერთი სპორტული კლუბის სიამაყედ.

ინგლისში მოკრივენი 21 წლის ასაკამდე მოყვარულებად ითვლებიან. ისინი იცავენ თავიანთი კლუბების ღირსებას და ისწრაფვიან მოიპოვონ თეთრი მაისურის — ეროვნული ნაკრების ფორმის ტარების უფლება. ამ ეტაპზე მათ მხოლოდდამხოლოდ სპორტული ინტერესი ამოძრავებთ. შემდგომ მათგან შეირჩევიან ძალ-ღონითა და გაწაფულობით უპირატესნი. ესენი უკვე იბრძვიან ფულადი პრიზისთვის — „ქისა“. ასე განიყოფებიან ინგლისში მოყვარული და პროფესიული მოკრივენი. ეს გზა გაიარეს ძმებმა კუპერებმაც. ვიდრე ჯარში გაიწვევდნენ, ისინი მოყვარული მოკრივეები იყვნენ. სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდგომ კი რინგის პროფესიულ ოსტატთა ცნობილ მენეჯერ „კრივის ეპისკოპოსად“ წოდებულ ჯიმ უიკსთან შეუდგნენ წვრთნას. ჰენრიმ მალე დაჩრდილა ჯორჯი და ეს უკანასკნელი ჩამოშორდა კრივს. ჰენრი კი მიჰყვა ამ საძნელო ხელობას. კუპერი გამოირჩეოდა მებრძოლი ხასიათით, რინგზე არ ზოგავდა არც თავს, არც სხვებს. განთქმული იყო მისი საოცრად ძლიერი ჰუკი. დემპსის შემდეგ ცოტა ვინმეს თუ ჰქონია ასეთი ძლიერი დარტყმა, წერდნენ მასზე ჟურნალისტები. კუპერს მოეძებნებოდა ნაკლიც — მარჯვენა ხელს ვერ ფლობდა ჯეროვნად. ამასთან თავის ქალის აგებულება ჰქონდა ისეთი, რომ დარტყმები იოლად უზიანებდა სახეს. იტალიელმა მოკრივე უბერ ბაჩილიერიმ მას დაუზიანა მარცხენა წარბი. ამის შემდეგ ეს ადგილი იქცა კუპერის „აქილევსის ქუსლად“ და ყოველი მატჩის შემდეგ ფერმკრთალ სახეს მუქი სათვალით იფარავდა.

ძნელი იყო მისი სპორტული გზა. კარიერის დასაწყისში მან არაერთ მოკრივესთან წააგო. ევროპის ჩემპიონატისას ვარშავაში იგი დაამარცხა რუსმა მოკრივე ეგოროვმა. ბრიტანეთის ჩემპიონატის დრო წააგო ჯო ერსკინსა და ჯო ბაიგრეივსთან. ვერ გაუმკლავდა ინგემარ იოჰანსონსაც, მაგრამ შემდგომ კუპერი თანშობილ უნარს ჯეროვნად უხამებს გამოცდილებას და ზედიზედ ამარცხებს თანამემამულეთა მთელ კოჰორტას: ბრაიან ლონდონს, დიკ რიჩარდსონს, ჯონი პრესკოტს, ჯეკ ბოდელს, ბილი უოკერს და სამჯერ უზღავს სამაგიეროს ჯო ერსკინს. კუპერი უგებს აგრეთვე, ევროპის ცნობილ მოკრივეებს, იტალიელ პიერო თომასონის, ესპანელ ხოსე ურტეინს, გერმანელ კარლ მილდენბერგერს.

კუპერს განსაკუთრებული წარმატება ხვდა თავის სამშობლოში. 1957 წლიდან მოყოლებული თორმეტჯერ იყო ინგლისის ჩემპიონი. ამ თორმეტი წლის მანძილზე იგი არცერთხელ არ დამარცხებულა.

მის სპორტულ ბიოგრაფიას ამშვენებს, აგრეთვე, შეხვედრები დიდ კასიუს კლეისთან. მართალია იგი ორივე მატჩში დამარცხდა, მაგრამ ერთ-ერთი შეხვედრისას, 1963 წელს მან ცნობილი მარცხენა ჰუკით ძირს დასცა კლეი. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, ინგლისელ მოკრივეს გონგამდე ექვსი სეკუნდით ადრე რომ მოეხვედრებინა თავისი ცაცია ამერიკელი დიდოსტატისათვის, ღმერთმა უწყის ვინ იქნებოდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, თამამი კასიუს კლეი თუ მორიდალი ჰენრი კუპერიო,— წერდა გაზეთ „ივნინგ სტარის“ სპორტული მიმომხილველი ჯორჯ უაითინგი.

ინგლისის კრივის ისტორიაში აღინიშნება მისი განუმეორებელი რეკორდიც.

ცნობილმა ინგლისელმა სპორტსმენმა, გრაფმა ლონსდეილმა თანამემამულე პროფესიულ მოკრივეთათვის დააწესა ჯილდო, საუცხოოდ მოჭედილი ქამარი, რომელსაც „ლონსდეილის სარტყელი“ ეწოდა. ეს ნივთი საკუთრებად რჩებოდა იმ სპორტსმენს, რომელიც სამჯერ ზედიზედ მოიპოვებდა ინგლისის აბსოლუტურ ჩემპიონობას.

კუპერის სასტუმრო დარბაზს სამი ასეთი სარტყელი ამშვენებს.

ედიშერ გიორგაძე,
საქართველოს კრივის ფედერაციის პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.

• • •

სურათებზე: კუპერმა მარცხენა ჰუკით ძირს დასცა კლეი; „ლონსდეილის სარტყლის“ კავალერი.

## კალათბურთი

**გაიმართა** კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მინსკის ტურის მორიგი შეხვედრები.

ლენინგრადის „სპარტაკმა" დაამარცხა ვილნიუსის „სტატიბა" — 86:83 (56:35), მოსკოვის „დინამომ" — კაუნასის „ჟალგირისი" — 91:83 (44:48). მესამე ტურში კიდევ ერთი, რიგით მესამე მარცხი იწვნია კაუნასის ჟალგირისმა, ამჯერად კიევის არმიელებთან — 87:88 (44:50). მიუხედავად თავიანთი ლიდერის ბოლოშევის კარგი თამაშისა, მოსკოვის „დინამომ" მაინც დათმო მატჩი ვილნიუსის „სტატიბასთან" — 94:95 (60:61). ლენინგრადის „სპარტაკმა" მოუგო მინსკის რტი-ს — 98:86 (46:39).

## ძალოსნობა

**ფერგანაში** გრძელდება ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე. მჩატე წონაში (56 კგ) კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა, ოღონდ ამჯერად საკავშირო: ვოლგოგრადელმა ვ. ვერეტენიკოვმა აჰკრა 147,5 კილოგრამი. ცხადია, რეკორდთან ერთად მან ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიგო. ორჭიდის ჯამში ვოლგოგრადელმა 255 კილოგრამი დააგროვა და აქაც გამარჯვებული გამოვიდა. ტაცში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო ოდესელმა გ. ხვანმა — 107,5 კგ.

მომდევნო წონით კატეგორიაში (60 კგ) უძლიერესი იყო შახტინსკელი ვ. მაზინი — 275 კგ. მანვე მოიგო ასპარეზობა ტაცში (122,5 კგ). ორჭიდში მეორე ადგილზე გავიდა ლენინაკანელი ა. მელქონიანი — 267,5 კგ, ბრინჯაოს მედალი ასეთივე შედეგით მოიპოვა გოლოვკომ (იგი მეტოქეზე მძიმე აღმოჩნდა).

67,5 კგ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა მოსკოველმა ა. ავსიენკომ — 305 კგ. მასვე დარჩა გამარჯვება ტაცში — 135 კგ. ორჭიდში მეორე ადგილზე გავიდა კოკჩეტაველი ვ. ანდრეევი, რომელიც გამარჯვებულს 2,5 კგ-ით ჩამორჩა. მან ოქროს მედალი მოიგო აკვრაში — 170 კგ. ორჭიდში მესამე ადგილზე გავიდა ირკუტსკელი ს. გორბაჩევსკი — 300 კგ.

75 კგ წონით კატეგორიაში ტოლი არ ჰყავდა ნოვოკუიბიშევსკელ ა. ლოგუტოვს — 332,5 კგ. მეორე ადგილზე გავიდა ბრესტელი ძალოსანი ნ. კრინეცი (330 კგ), ხოლო მესამეზე — ცელინოგრადელი ვ. ბუგროვი — 325 კგ. ყირგიზეთის ქალაქ ოშის წარმომადგენელი დ. იულდაშევი ოქროს მედალს დაეუფლა ტაცში — 150 კგ, ხოლო აკვრაში უძლიერესი იყო ლოგუტოვი — 187,5 კგ. აკვრაში ოქროს მედალი მიიღო იულდაშევმაც.

## შაში

თბილისში. 1-ლი მაისის სახელობის მე-7 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა კლუბში დაიწყო დედაქალაქის გოგონათა I ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. ტურნირში 12 მონაწილეა.

4 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს მ. ბაქრაძემ და ნ. აგლაძემ — 3,5-3,5 ქულა.

ჩემპიონატი 22 დეკემბრამდე გასტანს.

ზ. სვანიშვილი.

# აზიურ თამაშებზე

**ბანგკოკი.** ტაილანდის დედაქალაქში მიმდინარე VIII აზიურ თამაშებში თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ფინალური გაცურვის შემდეგ იაპონელი სპორტსმენები აუზიდან აცრემლებულნი ამოვიდნენ. მათ ყველასთვის მოულოდნელად წააგეს 14 წლის სინგაპურელ ჯ. სინგთან, რომელმაც თამაშების რეკორდი დაამყარა ამ დისტანციაზე — 4.31,35.

იაპონიის გუნდის ხელმძღვანელები ოქროს მედლების მოსაპოვებლად ძირითად იმედებს ცურვაზე ამყარებდნენ, მაგრამ უკვე ნათელია, რომ ყველა „ოქროს" მოპოვებას ისინი უკვე ველარ შეძლებენ. თავისუფალი სტილით 200 მეტრზე ცურვაში ვაჟთა შორის პირველი იყო ფილიპინელი გ. როსარიო, ქალთა შორის — ტაილანდელი რ. ბულაკული.

კოშკიდან ხტომაში წარმატება მოიპოვეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენებმა. ვაჟთა შორის იმარჯვა ლი ხან-ლიმ (629,25 ქულა), ხოლო ქალებში — ჩენ სიაო-სიამ (477,42).

თამაშებზე ბოლო მომენტში ჩამოვიდა ლიბანის გუნდი და ამ ქვეყნის სპორტსმენმა მაშინვე მოიპოვა ოქროს მედალი. ძალოსანთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა მ. ტრაბულსიმ (საშუალო წონა), რომელმაც ორჭიდის ჯამში 310 კგ მოაგროვა.

დაიწყო გუნდური ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. დამაჯერებლად ასპარეზობენ პაკისტანისა და ინდოეთის ბალახის ჰოკეისტები. [illegible] ანგარიშით [illegible] მინდვრის [illegible] ფინალში გავიდნენ.

თამაშებში მონაწილეობს აზიის 26 ქვეყნის 2 ათასზე მეტი სპორტსმენი. (საკდესი).

## გდრ

10 რიგითი გამარჯვების შემდეგ ბერლინის „დინამო" დრეზდენში ფრეს დასჯერდა ადგილობრივ „დინამოსთან", რომელიც რესპუბლიკის ჩემპიონია და მიმდინარე გათამაშებაში II ადგილზე იმყოფება — 1:1.

III ადგილზე მყოფმა „მაგდებურგმა" შინ ანგარიშით 3:1 სძლია იენის „კარლ ცაისს". II ტურის შემდეგ ბერლინის „დინამოს" 21 ქულა აქვს, დრეზდენის „დინამოს" — 17, „მაგდებურგს" — 15.

## ჩეხოსლოვაკია

XV ტურით დამთავრდა I წრე, 25 თებერვლამდე შესვენებაა.

პრაღის „დუკლამ" I წრე დაამთავრა 23 ქულით. ოსტრავის „ბანიკს" 21 ქულა აქვს, 19 ქულით III ადგილზეა „ზბროიოვკა" (ბრნო).

15-15 ქულა მოაგროვეს ტრნავის „სპარტაკმა", ბანსკა-ბისტრიცას „დუკლამ" და პრაღის „ბოჰემიანსმა".

## უნგრეთი

XIV ტურის სენსაცია იყო ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის — ვტკ-ს (დიოშდიერი) სასტიკი მარცხი (0:5) ბეკეშჩაბაში ადგილობრივ „სპარტაკუსთან". ხუთივე ბურთი გაიტანა ვაგაშიმ.

ლიდერი — „ჰონვედი" შეხვდა პირველი ლიგის დებიუტანტს „ვაშაშ-იცოს". არმიელთა უპირატესობა აშკარა იყო — 4:1. „ჰონვედი" 21 ქულით კვლავ ლიდერობს, მას თითო ქულით ჩამორჩებიან „დოჟა-უიპეშტი", რომელმაც ანგარიშით 5:1 სძლია „ბანიასს" (ტატაბანია) და „ფერენცვაროში" (მან ანგარიშით 2:1 მოუგო „ვიდეოტონს").

## რუმინეთი

XVI ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა მარეში, სადაც ადგილობრივმა „ბაიამ" (პირველი ლიგის დებიუტანტი) მიიღო ჩემპიონი — „სტეაუა" (ბუქარესტი). ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა, რომლებიც 21 ქულით კვლავ ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. „ოლიმპიამ" (სატუ მარე) დამარცხება აგემა (1:0) პიტეშტის „არჯეშს", რომელიც აქამდე ლიდერობდა. „არჯეში" ახლა 19 ქულით II ადგილზეა.

18-18 ქულა მოაგროვეს ბუქარესტის „დინამომ", რომელიც კარგა ხანია ტრავმირებული ჯორჯესკუს გარეშე თამაშობს, ბუქარესტის „სტეაუამ" და სატუ მარეს „ოლიმპიამ".

## ბულგარეთი

XV ტურით დასრულდა I წრე. ამ ტურამდე ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე" და „ლევსკი-სპარტაკი" 20-20 ქულით მოვიდნენ. მატჩს მათ შორის უნდა გადაეწყვიტა თუ ვის დარჩებოდა ლიდერობა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს არმიელებმა, რომელთა შემადგენლობაში ჩინებულად ითამაშა მეკარე ველინოვმა.

ამრიგად, ცსკა-მ I წრე 22 ქულით დაამთავრა. 20 ქულა აქვს „ლევსკი-სპარტაკს", 18-18 — სოფიის „ლოკომოტივსა" და სტარა-ზაგორას „ბეროეს".

## ინგლისი

თოვლისა და ყინვის გამო არ შედგა XVIII ტურის რამდენიმე მატჩი. ცენტრალური შეხვედრა გაიმართა ლონდონში, სადაც „არსენალმა" მიიღო გათამაშების ლიდერი — „ლივერპული". ლონდონელთა მიერ გატანილი ერთადერთი გოლი საკმაოდ კურიოზული იყო: მეკარე კლემენსმა მოიგერია სტეპლტონის მიერ დარტყმული ბურთი, იგი მოხვდა „ლივერპულის" ნახევარმცველს სიუნესს და კარში შეგორდა. „ქუინზ პარკ რეინჯერსმა" მიიღო „ბოლტონ უონდერერსი" და წააგო — 1:3. 2 ბურთი გაიტანა ვაშინგტონმა, რომელიც 13 გოლით სნაიპერთა შორის პირველ ადგილზეა.

## ჩემპიონატები, ტურნირები, შედეგები

ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ბრისტოლ სიტი" — „დერბი ქაუნთი" 1:0, „იფსვიჩ თაუნი" — „ლიდს იუნაიტედი" 2:3, „საუთჰემპტონი" — „ბირმინჰემ სიტი" 1:0.

შემდგომ ტურში მოხდა სენსაცია: „ნოტინგემ ფორესტმა", რომელიც 1 წლის მანძილზე წაუგებლად იბრძოდა, მარცხი იწვნია „ლივერპულისგან" — 0:2.

## საფრანგეთი

XXII ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა სტრასბურგში, სადაც ლიდერმა — „რესინგმა" მიიღო ჩემპიონი — „მონაკო". ლიდერის თავდამსხმელმა პიასეცკიმ გაიტანა 2 ბურთი, რასაც „მონაკომ" მხოლოდ ერთით უპასუხა (ემონი). ამ გამარჯვების შემდეგ „რესინგის" მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა — 21 თამაშიდან 30 ქულა. „სენტ-ეტიენს" 22 თამაშიდან 29 ქულა აქვს, 28-28 — „ნანტსა" და „მონაკოს". სხვა გუნდები ჩამორჩნენ და საპრიზო ადგილებზე პრეტენზია აღარა აქვთ.

## ჰოლანდია

დასასრულს უახლოვდება I წრე. XV ტურში ლიდერმა — „როდამ" (კერკრადე) შინ ვერ სძლია „ტვენტეს" — 0:0, ქულა დაკარგა ჩემპიონმა — „აინდჰოვენმაც", რომელიც „სპარტას" ეთამაშებოდა — 0:0. ამასობაში „აიაქსმა" იშვიათი ანგარიშით — 7:3 მოიგო „ვოლენდამთან".

ახლა ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: 23 ქულა აქვს „როდას", 22 — „აიაქსს", 21 — „აინდჰოვენს", 20 — „ალკმაარს", 19 — „ფეიენოორდს".

## ბელგია

ლიდერის — „სკ ბევერენ-ვაასის" მდგომარეობა მტკიცეა. 15 ტურის შემდეგ მას 21 ქულა და 1 გადატანილი მატჩი აქვს. განვლილ ტურში მან სტუმრად მოუგო „ლირსს" — 1:0. 19-19 ქულა აქვთ „ანდერლეხტსა" და „ანტვერპენს".

## შვეიცარია

16 ტურის შემდეგ მდგომარეობა დაძაბულია — „ციურიხსა" და „სენტგალენს" 22-22 ქულა აქვთ, „სერვეტსა" და „იანგ-ბოისს" — 21-21, „ბაზელს" — 20, „გრასჰოპერსს" — 18. დებულების თანახმად, პირველი 6 გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, შემდგომი 6 კი პირველ ლიგაში დარჩენის უფლებისთვის.

## იტალია

X ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები: „სან-სიროს" სტადიონზე „მილანი" ფრეს (1:1) დასჯერდა „პერუჯასთან" და ახლა ორივეს 15-15 ქულა აქვს. III ადგილზე გადაინაცვლა „ინტერმა", რომელმაც სტუმრად მოუგო „ასკოლის" — 2:1 და 13 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა აქვთ „იუვენტუსს", რომელმაც სტუმრად დაამარცხა „ატალანტა" (ბერგამო) 1:0 და „ტორინოს" (მან შინ ფრედ ითამაშა „ნაპოლისთან" — 0:0).

## პორტუგალია

XI ტურში ლიდერთა დუეტი დაირღვა: ლისაბონის „ბენფიკა" გასვლით მატჩს თამაშობდა გიმარაეშის „ვიტორიასთან" და გაიმარჯვა — 2:1, „პორტო" კი ასევე გასვლით მატჩში ფრეს (1:1) დასჯერდა „ესტორილ-პრაიასთან". „ბენფიკას" 16 ქულა აქვს, „პორტოს" — 15.

## ესპანეთი

ლიდერმა — მადრიდის „რეალმა" XII ტურში გამოტოვა მატჩი ბარსელონის „ესპანიოლთან". ცენტრალური შეხვედრა გაიმართა ბარსელონაში, სადაც „ბარსელონამ" მიიღო მადრიდის „ატლეტიკო". ანგარიშით — 4:2 გაიმარჯვეს სტუმრებმა. წინ წაიწია ბილბაოს „ატლეტიკმაც", რომელმაც სძლია ვიგოს „სელტას" — 3:1.

ლიდერთა სამეული ასეთია: მადრიდის „რეალს" 11 თამაშის შემდეგ 17 ქულა აქვს, ბილბაოს „ატლეტიკსა" და მადრიდის „ატლეტიკოს" — 15-15.

## ევროპის ჩემპიონატი

### III ჯგუფი

**სალამანკა.** აქ გაიმართა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ესპანეთისა და კვიპროსის ნაკრებ გუნდებს შორის. ესპანელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ თამაშის მსვლელობაში და ანგარიში 5:0 მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება მის მსვლელობას. კვიპროსელთა მეკარე პანტზარიასმა რამდენიმეჯერ იხსნა თავისი გუნდი აშკარა გოლებისგან. 2 ბურთი გაიტანა სანტილიანამ, თითო — ასენზიმ, დელ ბოსკემ და კანომ.

სატურნირო მდგომარეობა ამ ჯგუფში ახლა ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8—1 | 6 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3—3 | 2 |
| იუგოსლავია | 2 | 0 | 0 | 2 | 3—5 | 0 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0—5 | 0 |

## ფეხბურთი

### სტატისტიკა ...

● 1964 და 1978 წლების საკავშირო ჩემპიონატებში გამარჯვებულ თბილისის „დინამოს" პირველ მატჩებში მეტოქედ ჰყავდა მოსკოვის „სპარტაკი", ხოლო ბოლო შეხვედრები ჩაატარა მოსკოვის „ტორპედოსთან" (პირველ შემთხვევაში ეს იყო დამატებითი მატჩი, ხოლო მეორეში — კალენდარული).

● ორივე წელს დინამოელები მინდორზე გამოჰყავდათ კაპიტნებს ნომერი 7 მაისურით. 1964 წელს ეს იყო შ. იამანიძე, წლეულს — მ. მაჩაიძე.

● ორივე ზემოაღნიშნულ წელს თბილისელთა სათადარიგო შემადგენლობამ მოიპოვა ოქროს მცირე მედლები.

● სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატში თბილისის „დინამო" ჩემპიონი გახდა 41 ქულით.

მ. მებაღიშვილი.

● სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატის მსვლელობაში მოგებული მატჩების სერია ჩაატარეს თბილისელმა და კიეველმა დინამოელებმა: მათ 5-5 გამარჯვება მოიპოვეს ზედიზედ. პირიქით, დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" წააგო ზედიზედ 7 შეხვედრა.

ე. ტაბუცაძე.

● 41-ე ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" მატჩები იმსაჯა 14 არბიტრმა. ე. შკლოვსკიმ (მოსკოვი) ჩაატარა 5 მატჩი, მ. სტუპარმა (ივანო-ფრანკოვსკი) — 3, ვ. ლიპატოვმა (მოსკოვი) — 3, ა. ივანოვმა (ლენინგრადი) — 3, ვ. ბასკაკოვმა (მოსკოვი) — 3, ა. ბადერტოვმა (მოსკოვი) — 2, მ. ჩერდანცევმა (ალმა-ათა) — 2, მ. კუსენმა (ლვოვი) — 2, ვ. ბუტენკომ (მოსკოვი) — 2, თითოჯერ იმსაჯეს ი. სერგიენკომ (ხარკოვი), ლ. აკსელეოვიჩმა (მოსკოვი), ს. ბელიაევმა (მოსკოვი), ს. სტოიევმა (მინსკი), ი. იგნატოვმა (კალუგა).

რ. შათირიშვილი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

**25 დეკემბერს**

**თბილისში,** ალპური კლუბის სხდომათა დარბაზში (კიროვის სახელობის პარკი) ჩატარდება „განთიადის" X საქალაქო კონფერენცია.

დასაწყისი 16 ს.

დელეგატების რეგისტრაცია 15 საათიდან.

## მხიარული ფოტოობიექტივი

# გააქვევს!

ეს ფოტოსურათები ლენინგრადის „ზენიტისა" და თბილისის „დინამოს" წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ლენინგრადული მატჩის დროს გადაიღო ჩვენმა ფოტორეპორტიორმა ა. კოტორაშვილმა.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93 97-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-51; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02338